ქ. მცხეთა 11.06. 2012წ.

## ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ №511 კონკურსში „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში ე.წ. „მლაშელიანთ" უბანში სარწყავი არხის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე კონკურსის მიმდინარეობაში, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის ე) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ქ. ვაალაძე

კომისიის წევრები ხ. ბოჭორაძე

ი. ჯიშკარიანი

ჩ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა — 11 ივნისი 2012 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| თეიმურაზ აბაშიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| ქეთევან ეკალაძე | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| სოფიო ბოჭორაძე | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |
| ილია ციციშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| მერაბ თუხარელი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი; |

**ილია ოდიშელიძე** – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

**ზურაბ მარსაგიშვილი** – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

**დღის წესრიგი:**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ №511 კონკურსზე „მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მისაქციელში ე.წ. „მლაშელიანთ" უბანში სარწყავი არხის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა"-ზე **კონკურსანტის შპს „არქსერვისი-2008"-ის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება.

**მოისმინეს:**

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის **შპს „არქსერვისი-2008"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საგადახდო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლით" განსაზღვრული მონაცემებს.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა, რომ შპს „არქსერვისი-2008“ გამოვლინდეს გამარჯვებულად და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთ დღეში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დახრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ქ. ჭკალაძე

კომისიის წევრები ს. ბოჭორაძე

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარხაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე